ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 312

2 ოქტომბერი
"___"_____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი №67-ში მდებარე 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ:№ 01.17.12.009.008) პირდაპირი განკარგვის წესით სს „თიბისი ბანკისთვის" (ს/ნ: 204854595) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი №67-ში მდებარე 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: № 01.17.12.009.008) პირდაპირი განკარგვის წესით სს „თიბისი ბანკისთვის" (ს/ნ: 204854595) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 13 სექტემბრის №18.755.1105 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი №67-ში მდებარე 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.17.12.009.008) პირდაპირი განკარგვის წესით სს „თიბისი ბანკისთვის" (ს/ნ: 204854595) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2 200 (ორი ათას ორასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**